თბილისი, 2006 წლის 3 ოქტომბერი

სს „საქართველოს ბანკი“ 400,000 ახლადემიტირებული აქციების ინსტიტუტციონალური ინვესტორებისთვის მიყიდვის შესახებ აცხადებს

დღეს საქართველოს წამყვანმა უნივერსალურმა ბანკმა, სს „საქართველოს ბანკმა“ (GSE: GEB) გამოაცხადა იმის შესახებ, რომ უკვე მეორედ ამ წელს წარმატებით დაასრულა კაპიტალის გაზრდა და 400,000 ახლადემიტირებული აქცია გაყიდა. აქციების შეთავაზება გაუკეთდა ექვს ინსტიტუციონალურ ინვესტორს და მათზე მაღალი მოთხოვნა დაფიქსირდა. ერთი აქციის ფასმა 22.5 ლარი შეადგინა, რის შედეგადაც საბაზრო კაპიტალიზაცია 375.6 მილიონ ლარს გაუტოლდა. შედარებისთვის, ორი წლის წინ, ბანკის სათავეში ახალი მენეჯმენტის მოსვლისას მისი საბაზრო კაპიტალიზაცია 37.6 მილიონ ლარს შეადგენდა.

„ჩვენ ვაგრძელებთ ბანკის ზრდის ტემპის შესაბამისად ბანკის კაპიტალის ზრდას. მინდა მადლობა ვუთხრა ყველა იმ ფონდს, რომელმაც შეისყიდა ბანკის ახლადემიტირებული აქციები და, აგრეთვე მოხარული ვარ, რომ ჩვენს აქციონერებს შეემატა ორი მეტად გამოცდილი ინსტიტუციონალური ინვესტორი, რომელიც რუსეთსა და დსთ-ის ქვეყნებზე სპეციალიზირდება. ჩვენ ვაგრძელებთ აქციონერთა ბაზის გაფართოებას ბანკის განვითარების ამ მეტად მნიშვნელოვან ეტაპზე“, განაცხადა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, *ლადო გურგენიძემ*.

„საქართველოს ბანკის“ შესახებ

სს „საქართველოს ბანკი“ ქვეყანაში წამყვანი უნივერსალური ბანკია. ბანკს გააჩნია სამომხმარებლო საბანკო პროდუქტების ფართო სპექტრი, რომელთა გაყიდვა და გავრცელება ხდება ბანკის ფილიალების ფართო ქსელის მეშვეობით. ბანკი კორპორატიულ კლიენტებს სთავაზობს კომერციულ და საინვესტიციო საბანკო მომსახურების ფართო არჩევანს. ამასთანავე, ბანკის მიერ შესყიდული სადაზღვევო კომპანია „ბისიაა“ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს (ახალი ბრენდის *ჩემბის* მეშვეობით) სადაზღვევო პროდუქტების ფართო სპექტრს სთავაზობს. 2006 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით ბანკის აქტივებმა 849.6 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო კაპიტალი 135.7 მილიონ ლარს გაუტოლდა. 2006 წლის პირველ ნახევარში ბანკის კონსოლიდირებულმა წმინდა მოგებამ 11.0 მილიონი ლარი შეადგინა. ბანკს გააჩნია B-/B; პოზიტიური პერსპექტივა „FitchRatings“-გან, B3/NP უცხოური ვალუტის და Baa3/P-3 ადგილობრივი ვალუტის რეიტინგები სტაბილური პერსპექტივით „Moody’s“-გან და B+/B; სტაბილური პერსპექტივა „Standard & Poor’s”-გან.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:

ლადო გურგენიძეს, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე	+995 32 444 103	lgurgenidze@bog.ge
ირაკლი გილაურს, გენერალური დირექტორი	+995 32 444 109	igilauri@bog.ge
ირაკლი ბურდილაძეს, გენერალური დირექტორის მოადგილე	+995 32 444 111	iburdiladze@bog.ge
მაკა ეკიზაშვილს, ინვესტორებთან ურთიერთობების ხელმძღვანელი	+995 32 444 256	ir@bog.ge